საქართველოს მთავრობას

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

ხუდონჰესის მშენებლობის კანონიერების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

2013 წლის 11 სექტემბერს, მოქალაქეებმა მომმართეს განცხადებით, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშში დაგეგმილი ხუდოჰესის მშენებლობის კანონიერების შესწავლის მიზნით.

ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ წინამდებარე საკითხის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ 2007 წლის 29 ივნისს გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოს მთავრობასა და კომპანია Continental Energy LTD-ს[1] შორის მდინარე ენგურზე „ხუდონის“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ[2] სქემით „მშენებლობა-ფლობა-ექსპლოატაცია“.

2011 წლის 28 აპრილს საქართველოს მთავრობას, Trans Electrica Limited-ს, Trans Electrica Georgia-ს,[3] შპს „ენერგოტრანსსა“ და შპს „ელექტორენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, პროექტის სამუშაოთა განხორციელების შემდგომი ეტაპის თაობაზე. ხელშეკრულების თანახმად, ზამთრის თვეებში გამომუშავებული ელექტროენერგია გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს შიდა მოხმარებისათვის, ხოლო დანარჩენ თვეებში გამომუშავებულ ელექტროენერგიას კომპანია განკარგავს საკუთარი შეხედულებისამებრ.

2013 წლის 11 ოქტომბერს, ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის კანონიერების შესწავლის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია[4].

---

[1] 2010 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობას, კომპანია Continental Energy LTD-ს და Trans Electrica Limited-ს (BVI) შორის დაიდო შეთანხმება, რომლის თანახმად, Continental Energy LTD-მა მისი უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობები სრულად და უცვლელად გადასცა კომპანია Trans Electrica Limited-ს.

[2] ცვლილებები შევიდა 2009 წლის 23 დეკემბერს.

[3] შპს, რომლის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია „ტრანს ელექტრიკა ლიმიტედი.“ რეგისტრირებულია 22.03.2010, საიდენტიფიკაციო კოდი:40487650

[4] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2013 წლის 11 ოქტომბრის #04-11/1817 წერილი;

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წერილის[5] თანახმად, შპს „ტრანსელექტრიკა ჯორჯიამ“ ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის გარემოზე ზემოქმედების ანგარიში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარადგინა 2013 წლის 29 ივლისს საჯარო (წინასწარი) განხილვის მიზნით. ამავე წერილის მიხედვით, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით, მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს (მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე) სამინისტროსათვის არ მიუმართავს.

ამასთან, როგორც საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წერილიდან ირკვევა, შპს „ტრანსელექტრიკა ჯორჯიას“ მიერ წარდგენილ ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მოამზადა 111 შენიშვნა და მიაწოდა[6] შპს „ტრანსელექტრიკა ჯორჯიას“.

2013 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროდან გამოითხოვა[7] საქართველოს მთავრობასა და Trans Electrica Limited-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ასლი, ინფორმაცია ხუდონჰესის მშენებელი კომპანიის შერჩევის კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ და ხუდონჰესის მშენებლობის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წერილის[8] თანახმად, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ჩართულია საქართველოს მთავრობას, Trans Electrica Limited-ს, „ტრანსელექტრიკა ჯორჯიას“, შპს „ენერგოტრანსსა“ და შპს „ელექტორენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროცესში, მათ შორის, ხელს უწყობს კომპანიას პროექტის განსახორციელებლად საჭირო შესაბამისი ლიცენზიებისა და ნებართვების აღებაში, ენერგეტიკის დარგში შემავალ სხვა კომპანიებთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაში, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით. ამასთან, წერილში აღნიშნულია, რომ ხუდონჰესის მშენებელი კომპანიის შერჩევა წარმოადგენს პროექტის განმახორციელებელი კომპანიის (ამ შემთხვევაში, Trans Electrica Limited–ის) პრეროგატივას. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ ასევე, მოგვაწოდა საქართველოს მთავრობას, Trans Electrica Limited-ს, „ტრანსელექტრიკა ჯორჯიას“, შპს „ენერგოტრანსსა“ და შპს „ელექტორენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ასლი.

---

[5] საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2013 წლის 18 ოქტომბრის #2508 წერილი;

[6] საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2013 წლის 16 სექტემბრის #1917 წერილი;

[7] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2013 წლის 28 ოქტომბრის #04-11/1991 წერილი;

[8] საქათველოს ენერგეტიკის სამინიტროს 2013 წლის 11 ნოემბრის #04/5084 წერილი.

2013 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან გამოითხოვა[9] ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ Trans Electrica Limited-ის მხრიდან განსახორციელებელი ინვესტიციის მიმზიდველობის, ხუდონჰესის პროექტის ეკონომიკური ანალიზის და ჰესის მშენებლობისათვის საჭირო ნებართვის გაცემის მიზნით, ადმინისტრაციული წარმოების თაობაზე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილის[10] თანახმად, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში აღნიშნულ ობიექტზე მშენებლობის ნებართვის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თხოვნით განცხადება არ არის შესული და შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს. წერილში ასევე, აღნიშნულია, რომ Trans Electrica Limited-ის მხრიდან განსახორციელებელი ინვესტიციის მიმზიდველობისა და პროექტის ეკონომიკური ანალიზი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ არ გაკეთებულა და მიზანშეწონილად მიაჩნიათ ამ კითხვით მივმართოთ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს.

2013 წლის 21 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია[11] ადგილობრივ მაცხოვრებელთა განსახლების გეგმის, ჰესის მშენებლობისათვის საჭირო მიწის ფართობებისა და შესაბამისი აქტივების პროექტის შემსრულებელი კომპანიისათვის გადაცემისა და საქართველოს მთავრობის მიერ Trans Electrica Limited-ის მხრიდან განსახორციელებელი ინვესტიციის მიმზიდველობისა და ეკონომიკური ანალიზის თაობაზე.

ამ საკითხებთან დაკავშირებით, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საპასუხო წერილის[12] თანახმად, ადგილობრივ მაცხოვრებელთა განსახლების სამოქმედო გეგმა დამტკიცებული არ არის. წერილში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობასა და კომპანია Continental Energy LTD-ს შორის 2007 წლის 29 ივნისს დაიდო ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოში, მდინარე ენგურზე 702 მგვტ სიმძლავრის „ხუდონის“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ. 2010 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობას, კომპანია Continental Energy LTD-ს და Trans Electrica Limited-ს (BVI) შორის დაიდო შეთანხმება, რომლის თანახმად, Continental Energy LTD-მა მისი უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობები სრულად და უცვლელად გადასცა კომპანია Trans Electrica Limited-ს. ხუდონჰესის პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ინვესტიციის მიმზიდველობისა და ეკონომიკური ანალიზის თაობაზე, ენერგეტიკის სამინისტროს იმავე წერილში მითითებულია შემდეგი: პროექტი წარმოადგენს სახელმწიფოებრივი

[9] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2013 წლის 28 ოქტომბრის #04-11/1992 წერილი;
[10] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2013 წლის 15 ნოემბრის #11/7398 წერილი.
[11] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2013 წლის 21 ნოემბრის #04-11/2424 წერილი;
[12] საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2013 წლის 06 დეკემბრის #04/5401 წერილი;

მნიშვნელობის პროექტს, იმდენად, რამდენადაც არსებული ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის შედეგად მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობის გაზრდის რესურსი თითქმის აღარ არსებობს. აგრეთვე, ქვეყანას არ გააჩნია საკუთარი ენერგომატარებლები ნავთობისა და გაზის სახით, იმპორტირებულ საწვავზე თბოსადგურების მიერ წარმოებული და/ან ელექტროენერგიის იმპორტი წარმოადგენს აღნიშული დეფიციტის შევსების წყაროს. იქიდან გამომდინარე, რომ ენერგომატარებლებზე ზრდად ფასებს სექტორზე მკვეთრად უარყოფითი გავლენა ექნება და ამასთან, გაუარესდება ენერგეტიკული უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის ხარისხი, მიზანშეწონილია საქართველოში არსებული ჰიდროპოტენციალის მაქსიმალური და ეფექტური გამოყენება. საქართველოს ენერგეტიკული სისტემის დამოუკიდებლობისა და მოთხოვნილი ელექტროენერგიის შიდა რესურსით დაკმაყოფილების მიზნით, ხუდონჰესის პროექტი, რომლის დადგმული სიმძლავრეა 702 მგვტ, 1,5 მლრდ. კვტ.სთ ელექტროენერგიის გამომუშავებით და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორზე“ გასაყიდი ელექტროენერგიის ფიქსირებული ფასით - 5.84 აშშ ცენტი 1 კვტ/სთ, ქვეყანაში სიმძლავრის გაზრდის მნიშვნელოვანი წყაროა, რომელიც ჩაანაცვლებს ადგილობრივ ბაზარზე ზამთრის პერიოდში იმპორტირებულ ელექტროენერგიას, რის შედეგად საქართველოს ენერგოსექტორი მიიღებს მნიშვნელოვან შეღავათს ელექტროენერგიის ფასის ნაწილშიც. იქვე მითითებულია, რომ ხუდონი არის პიკური სიმძლავრის სადგური. ამასთან, ხუდონჰესის წყალსაცავის დამუშავების რეჟიმის განხილვის შედეგად, ცხადი ხდება, რომ მას დადებითი ეფექტი აქვს ქვედა წელში არსებული ენგურჰესისა და ვარდნილჰესების გამომუშავებაზეც. კერძოდ, ამ სადგურების გამომუშავება წლიურად დაახლოებით 300 მილიონი კვტ.სთ-ით იზრდება, რომელთა ფასიც 1,187 და 1,17 თეთრია. ამ ენერგიით ხდება იმპორტის ჩანაცვლება და იმავდროულად საექსპორტო რესურსის გაზრდა. წერილში ასევე აღნიშნულია, რომ ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საინვესტიციო ღირებულება, მშენებლობის დროს გაწეული ფინანსური ხარჯის ჩათვლით, შეადგენს 1.2 მილიარდ აშშ დოლარს. ვინაიდან, ეს პროექტი ხორციელდება უცხოელი ინვესტორის მიერ, მოზიდული თანხა ჩაითვლება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციად და ამ ინვესტიციების ეფექტი, მთლიან შიდა პროდუქტზე საკმაოდ მნიშვნელოვანია. ხუდონის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია ოთხი თვის (ზამთრის თვეები) განმავლობაში ადგილობრივ ბაზარზე ფიქსირებულ ფასად 5, 84 აშშ ცენტად უნდა გაიყიდოს, ხოლო დანარჩენი შესაძლოა ექსპორტზეც გავიდეს. ამ პროექტს მიმდინარე ანგარიშზეც მნიშვნელოვანი გავლენა ექნება, რადგან პირველსავე წელს იგი ანაცვლებს იმპორტს და ზრდის ექსპორტს.

ხუდონჰესის პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ინვესტიციის მიმზიდველობისა და ეკონომიკური ანალიზის საკითხთან დაკავშირებით, ენერგეტიკის სამინისტრო ასევე მიუთითებს, რომ პროექტი იძლევა შესაძლებლობას დასაქმდეს ადგილობრივი მოსახლეობა, რაც თავისთავად მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს სოციალური ფონის გაუმჯობესებაზე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია[13] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრიდან მეესტიის მუნიციპალიტეტში მდებარე უძრავი ქონების კომპანია „ტრანსელექტრიკა ჯორჯიას“ სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისა და მისი საფუძვლების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის რეგისტრაციისა და კადასტრის უზრუნველყოფის სამსახურის ინფორმაციით[14], შპს „ტრანსელექტრიკა ჯორჯიას“ (ს.კ. 404857650) საჯარო რეესტრში არსებული განცხადებებისა და უფლებების რეგისტრაციის ელექტრონული წიგნის მონაცემებით, მესტიის სარეგისტრაციო ზონაში საკუთრების უფლება რეგისტრირებულია 141 უძრავ ქონებაზე, რომლის საერთო ფართი შეადგენს 11940529 კვ.მ. საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველია 2012 წლის 11 იანვრის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც დაიდო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „ტრანსელექტრიკა ჯორჯიას“ შორის.

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად, მიმაჩნია, რომ არსებობს რიგი საკითხებისა, რომელთა მოწესრიგებისა და გადაწყვეტის გარეშე დაირღვევა მესტიის რაიონის ხაიშის თემში მაცხოვრებელთა უფლებები. ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დაწყებამდე საჭიროა რამდენიმე არსებითი მნიშვნელობის საკითხის შესწავლა და მოწესრიგება, კერძოდ,

ჰესის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების კანონმდებლობით დადგენილი პროცედურა

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს“. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას, ქვეყნის მდგრად განვითარებას საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად.“

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებისა და ადამიანის ჯანმრთელობის, ბუნებრივი გარემოს, ასევე კულტურულ და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის მიზნით, საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელია გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.“

[13] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2013 წლის 24 ივლისის #04-11/410, 2013 წლის 18 ოქტომბრის #04-11/1940 და 2013 წლის 20 ნოემბრის #2409 წერილები.

[14] სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რეგისტრაციისა და კადასტრის სამსახურის უფროსის 2013 წლის 3 დეკემბრის #225631 წერილი.

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ პუნქტის თანახმად, ჰიდროელექტროსადგურის (2 მვტ-ისა და მეტი სიმძლავრის) განთავსება ექვემდებარება ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას.

ამასთან, 702 მვტ. სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის #57 დადგენილების (24.03.2009წ) 79-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მიეკუთვნება V კლასის შენობა-ნაგებობას, რომლის მშენებლობისათვის გაიცემა მშენებლობის ნებართვა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნებართვის მიღების თაობაზე განცხადებების წარდგენა, განხილვა და წარმოებაში მიღება უნდა მოხდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი წესით. ამავე კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნებართვის გამცემი, ნებართვის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით განსაზღვრული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

მოქმედი კანონმდებლობა ნებართვის გამცემ ორგანოს[15] უფლებას აძლევს გადაწყვეტილება მიიღოს როგორც ნებართვის გაცემაზე, ასევე ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.“

გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის (ორჰუსის კონვენცია)[16] მე-6 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-7 მუხლით გათვალისწინებული ნორმები ადგენს დაინტერესებული საზოგადოების ადეკვატურ, დროულ და ეფექტურ ინფორმირებას გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის #107 დადგენილებით დამტკიცებულია სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერგია 2008“ - საქართველოში განახლებადი ენერგიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესი, რომლის მე-5 მუხლის თანახმად[17], განისაზღვრებოდა ელექტროსადგურების სავარაუდო განთავსების სქემა (სქემები) და

[15] საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ ტექნიკური და საშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.
[16] რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 11 თებერვლის #135-IIს დადგენილებით.
[17] ამოღებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს #212 დადგენილებით;

ძირითადი პარამეტრები, რომლის თაობაზეც შემდგომში იდებოდა მემორანდუმი სახელმწიფოსა და ინსვეტორს შორის.

იგივე წესია შენარჩუნებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს #214 დადგენილებით დამტიცებული საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესით. კერძოდ, დასახელებული წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს და თავის ოფიციალურ ვებგვერდზე განათავსებს ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხას და მათ თაობაზე სამინისტროში არსებულ ძირითად ინფორმაციას. ნუსხა ექვემდებარება გადახედვას, რასაც ახორციელებს სამინისტრო.

ამავე წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს: ასაშენებლი ელექტროსადგურის დასახელებას, სავარაუდო განთავსების ადგილს, სავარაუდი სქემას და სავარაუდო ძირითად პარამეტრებს; ელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის ნებართვის საფუძველზე ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყებისა და ექსპლოატაციაში მიღების ვადას, ელექტროსადგურის მშენებლობის სავარაუდო საინვესტიციო ოდენობას და სხვა პირობებს. ამასთან, აღნიშნული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირთან დასადები მემორანდუმის პროექტს.

როგორც ვხედავთ, არსებული და ძველი წესის[18] თანახმად, დასახელებული ინდივიდულური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შედეგად, სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის ფორმდება მემორანდუმი ამა თუ იმ ელექტროსადგურის აშენების თაობაზე. მხოლოდ ამის შემდეგ არის ინვეტორისათვის სავალდებულობო გარემოზე ზემოქმედების შესახებ ანგარიშის მომზადება, გარემოზე ზემოქმედების შესახებ ნებართვის, ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნისა და მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად[19], გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, მოგეხსენებათ, აუცილებელია, რათა დაცული იქნეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეკოლოგიური, სოციალური და ეკომონიკური ინტერესები და ადმიანის ჯანმრთელობა, ბუნებრივი გარემო, ასევე კულტურული და მატერიალური ფასეულობები.

განსახილველ შემთხვევაში, დაცული არ იქნა კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურა, რასაც ადასტურებს შემდეგი გარემოება:

[18] ეს წესი მოქმედებდა ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის აშენების თაობაზე მემორანდუმის გაფორმების დროს;

[19] „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლი;

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროდან გამოითხოვა[20] ენერგეტიკის დარგში განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიისა და პრიორიტეტების განმსაზღვრელი დოკუმენტი. ასევე, „საქართველოში განახლებადი ენერგიის პოტენციური წარმოების ნუსხაში შემავალი ელექტროსადგურების მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის შესახებ ინტერესთა გამოხატვის თაობაზე“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის #46 ბრძანების ასლი და ადმინისტარციული წარმოების მასალები, რომლებიც საფუძვლად დაედო დასახელებული ბრძანების გამოცემას.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციიდან[21] ირკვევა, რომ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის #46 ბრძანებაში, რომლითც დამტკიცდა საქართველოში განახლებადი ენერგიის პოტენციური წყაროების ნუსხა, მითითებული არ არის ხუდონის ჰიდროელექტროსადგური. დასახელებული ჰესი პოტენციურად ასაშენებელი ჰესების ნუსხაში შევიდა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს #125 ბრძანების საფუძველზე. ამ პერიოდისათვის კი საქართველოს მთავრობასა და ინვეტორს შორის უკვე დადებული იყო ხელშეკრულება. კერძოდ,

2011 წლის 28 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს მთავრობას (წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახით), „ტრანს ელექტრიკა ლიმიტედს“ (შემდგომში - „კომპანია“), შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ (შემდგომში - „პროექტის შემსრულებლი კომპანია“), შპს „ენერგოტრანსსა“ და შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემების კომერციულ ოპერატორს“ შორის ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ.

დასახელებული ხელშეკრულების 4.12 (a) მუხლის თანახმად, „მთავრობა“ დაეხმარება „პროექტის შემსრულებლ კომპანიას“ შესაბამისი ლიცენზიებისა და ნებართვების მოპოვებაში, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება წყლით სარგებლობისა და გარემოზე ზემოქმედების ლიცენზიებით, ფეთქებადი ნივთიერებების შენახვა-გამოყენების ნებართვებით/ლიცენზიებით, მდინარის კალაპოტის მასალების, რიყის ქვების, კარიერებიდან კლდის ნანგრევების გამოყენებაზე, იმის გათვალისწინებით, რომ „კომპანია“/„პროექტის შემსრულებელი კომპანია“ დაიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ამავე ხელშეკრულების 4.12 მუხლის „d“ პუნქტის თანახმად, „იმ შემთხვევაში, თუ „კომპანია“ განაცხადს გააკეთებს ნებართვაზე/ლიცენზიაზე საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, მაგრამ ნებართვა/ლიცენზია არ გაიცემა სახელმწიფო უწყებების მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, საქართველოს მთავრობა ვალდებულია „პროექტის შემსრულებელ კომპანიას“/„კომპანიას“ მისცეს დამატებითი დრო წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად.“

[20] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2014 წლის 10 თებერვლის #04-11/4322 წერილი;
[21] საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის 2014 წლის 25 თებერვლის #03/730 წერილი.

ზემოთ ჩამოთვლილი საკანონმდებლო ნორმებისა და ხუდონჰესის თაობაზე მთავრობასა და ინვეტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულების დასახელებული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული, ჰესის მშენებლობისათვის საჭირო ნებართვების მიღების პროცედურა, ამ შემთხვევაში ინვესტორისათვის მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და არ ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც შეიძლება ინვესტორს უარი ეთქვას ამა თუ იმ ნებართვის გაცემაზე. პირიქით, მოცემულ შემთხვევაში მთავრობა ვალდებულია, რომ მას მისცეს ვადა, რათა საჭირო ნებართვები ინვესტორმა აუცილებლად მიიღოს.

ამასთან, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ჰესის მშენებლობისათვის საჭირო გადაწყვეტილების მიღების პროცედურა აზრს უკარგავს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, თავდაპირველად ფორმდება მემორანდუმი სახელმწიფოსა და ინვესტორ შორის ჰესის მშენებელობის შესახებ, რითაც მთავრობა იღება ვალდებულებას კერძო კომპანიის წინაშე და მხოლოდ ამის შემდეგ მოწმდება კონკრეტული პროექტის ზეგავლენა ისეთ სასიცოცლოდ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეკოლოგიური, სოციალური და ეკომონიკური ინტერესები და ადმიანის ჯანმრთელობა, ბუნებრივი გარემო, ასევე კულტურული და მატერიალური ფასეულობები. აღნიშნული პროცედურის ხარვეზი სახეზეა განსახილველ შემთხვევაშიც – მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს გარემოზე ზემოქმედების შეფასების საფუძველზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემული დადებითი ნებართვა, მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირები (პრემიერ-მინისტრი, ენერგეტიკის მინისტრი) აკეთებენ საჯარო განცხადებებს[22] ხუდონჰესის აშენების გარდაუვალობის შესახებ. აღნიშნული კიდევ უფრო გაუგებარია იმ ფონზე, როცა 2014 წლის 15 იანვრის მდგომარეობითაც, ხუდონჰესის მშენებლობის ნებართვის მისაღებად სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მოთხოვნით განცხადებაც კი არ არის შეტანილი[23].

მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირთა მხრიდან მსგავსი განცხადებების გაკეთება შეიძლება შეფასდეს, როგორც ზეწოლა გადაწყვეტილების მიმღებ ადმინისტრაციულ ორგანოზე.

2011 წლის 28 აპრილის ხელშკრულების 4.12 მუხლის გათვალისწინებული „a“ და „d“ პუნქტები ეწინააღმდეგება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებს. კერძოდ,

[22] ხელმისაწვდომია: <http://www.youtube.com/watch?v=JUGFHHu6MZs>, <http://www.youtube.com/watch?v=xg-ciahC2Ak>, <http://www.youtube.com/watch?v=o4TtZae31ng>, <http://www.youtube.com/watch?v=1fWvvP3ff-o>.

[23] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების მინისტრის მოადგილის 2013 წლის 15 ნოემბრის #11/7398 წერილი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტარციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება“. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს“. აღნიშული ნორმის დარღვევა იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განიხილოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე შეტანილი განცხადება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ ნებართვის[24] გაცემაზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს იმ ადმინისტრაციულმა ორგანომ, რომლის კომპეტენციაშიც შედის ამა თუ იმ ნებართვის გაცემა. მაგალითად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარემოზე ზემოქმედების ნებართვა უნდა გასცეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ. შესაბამისად, მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელების შესახებ (საჭიროების და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში) ან ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის (წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახით) კომპეტენციაში არ შედის ინვესტორისათვის ნებართვის მისაღებად საჭირო კანონით დადგენილი ვადის გაგრძელება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლის 28 აპრილის ხელშკრულება არ არეგულირებს შემთხვევას, როდესაც პროექტის შემსრულებელი კომპანია, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიუხედავად, ვერ მიიღებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნებართვებს.[25] დასახელებული ხელშეკრულებაში 2013 წლის 28 მაისს შეტანილი ცვლილებების თანახმად, გარემოზე ზემოქმედების ნებართვისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მხარეები გადახედავენ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტექნიკურ პარამეტრებს.[26] თუმცა, იმავე ხელშეკრულების თანახმად, მთავრობას აღებული აქვს ვალდებულება, რომ არ გაუკეთებს ინიცირებას და არ დაამტკიცებს ისეთ პროექტს, როემლსაც ინვესტორის აზრით უარყოფითი გავლენა ექნება ობიექტის ტექნიკურ პარამეტრებზე.[27]

[24] გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, ეკოლოგიური ექსპეტრიზის ჩატარება, მშენებლობის ნებართვა.

[25] მაგალითად, ეკოლოგიური ექსპერტიზის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში ან მშენებლობისათვის საჭირო ნებართვის გაუცემლობის შემთხვევა, რომელიც გამოწვეული არ არის ინვესტორის ან მთავრობის მიერ თავიანთი ვალდებულებების დარღვევით.

[26] 2011 წლის 28 აპრილის ხელშეკრულება, მუხ. 3.4.

[27] 2011 წლის 28 აპრილის ხელშეკრულება, მუხ. 8.1.

საქართველოს მთავრობის (წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახით) მიერ პროექტის შემსრულებელი კომპანიისათვის დამატებითი დროის მიცემა საჭირო ნებართვების ასაღებად, თავისთავად გულისხმობს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელებას, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლი პირველი ნაწილის დანაწესს: „ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე". ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „დაუშვებელია ადმინისტარციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება."

ამასთან, ჰესის მშენებლობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ზემოაღნიშული წესი[28] არ შეესაბამება „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენციის მე-6, მე-7 და მე-8 მუხლების ნორმებს[29].

ინვესტიციის მიმზიდველობა და ეკონომიკური ანალიზი

საქართველოს მთავრობის 2004 წლის 10 სექტემბრის #77 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს ეკომონიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულება, რომლის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა და ინვესტიციები შედის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კომპეტენციაში. შესაბამისად, ქვეყანაში განსახორციელებელი ინვესტიციის მიმზიდველობისა და ეკონომიკური ანალიზის თაობაზე დასკვნა უნდა გაკეთდეს სწორედ ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროს მიერ.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ კომპანია Trans Electrica Limited-ის მხრიდან განსახორციელებელი ინვესტიციის მიმზიდველობის შეფასება და ეკონომიკური ანალიზი არ განხორციელებულა[30].

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს პასუხი[31] არის არა ეკონომიკური ანალიზი და ინვესტიციის შეფასება, არამედ დასახელებული

[28] საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მიერ ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ, ინვესტორთან მემორანდუმის გაფორმება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების წარდგენა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა სამისტროში, შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ ამავე სამინისტროში ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარდგენა და მშენებლობის ნებრთვის მიღება, რომელიც თავის მხრივ, სამ ეტაპს მოიცავს: მიწის სამშენებლოდ გამოყენების შემოწმება (იდენტიფიცირება), არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა;

[29] უზრუნველყოფილი არ არის საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების დასაწყის ეტაპზე;

[30] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის 2013 წლის 15 ნოემბრის #11/7398 წერილი;

სამინისტროს პოზიცია ხუდონჰესის პროექტის განხორციელების თაობაზე, რადგანაც იგი აგებულია მხოლოდ მოსაზრებებზე და არა ეკონომიკურ გათვლებზე (არ არის დაანგარიშებული, გაწერილი და დასაბუთებული, კონკრეტულად რა სარგებელს მიიღებს სახელმწიფო).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ენერგეტიკის სამინისტრო თავისი პოზიციის გასამყარებლად აკეთებს ისეთ ზოგად შეფასებებს, როგორიცაა: „ენერგომატარებლებზე ზრდად ფასებს სექტორზე მკვეთრად უარყოფითი გავლენა ექნება“; „საქართველოს ენერგოსექტორი მიიღებს მნიშვნელოვან შეღავათს ელექტროენერგიის ფასის ნაწილშიც“; „ინვესტიციის ეფექტი მთლიან შიდა პროდუქტზე საკმაოდ მნიშვნელოვანია“ და სხვა. აღნიშნული მოსაზრებები გამყარებული არ არის კონრეტული ციფრობრივი მაჩვენებლებით.

ზემოაღნიშნულ წერილში მითითებულია, რომ გამომუშავებული ელექტროენერგია ოთხი თვის (ზამთრის თვეები) განმავლობაში ადგილობრივ ბაზარზე უნდა გაიყიდოს ფიქსირებულ ფასად 5.84 აშშ ცენტად, ხოლო დანარჩენი შესაძლოა ექსპორტზეც გავიდეს.

სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის 2011 წლის 28 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების 4.4 მუხლში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მითითებულია შემდეგი: „თავდაპირველად საექსპლუატაციო პერიოდში, ზამთრის თვეებში „კომპანია“/“პროექტის შემსრულებელი კომპანია“ საკუთარი შეხედულებისამებრ გაყიდის მის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას ნებისმიერ მყიდველზე თავისუფალი (დერეგულირებული) ტარიფით და/ან ESCO-სთან ხელმოწერილი ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის შეთანხმების პირობების შესაბამისად. ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება (გაფორმდებადაფუძნებული იქნება სავალდებულო ოფერტის პრინციპს, რითაც კომპანიას ექნება უფლება, მიყიდოს გამომუშავებული ელექტროენერგია ESCO-ს, რომელიც 5.84 აშშ ცენტად 1 კილოვატ საათი შიდა შეერთების პუნქტში, სავალდებულო ოფერტის უფლების შეზღუდვის გარეშე. მხარეებს შეუძლიათ ტარიფის ფასის გადახედვა ელექტროენერგიის ბაზარზე არსებული ფასების შესაბამისად“[32].

ხელშეკრულების დასახელებული ნორმა მომავალში დასადებ გარიგებას ეხება და იმის გამო, რომ ხელშეკრულება იძლევა შეთანხმებული ტარიფის გადახედვის შესაძლებლობას ელექტროენერგიის ბაზრის პირობების შესაბამისად, ერთმნიშვნელოვნად არ შეიძლება ითქვას, რომ ელექტროენერგია ფიქსირებულ ფასად გაიყიდება. მართალია, ხელშეკრულების 4.3 პუნქტი ითვალისწინებს ექსპლუატაციის პირველი ათი წლის მანძილზე, (ობიექტის ექსპლუატაციის დაწყების თარიღიდან) ყოველი წლის ზამთარში (დეკემბერი, იანვარი, თებერვალი და მარტი) ელექტროენერგიით ექსკლუზიურად საქართველოს შიდა ბაზრის

[31] საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2013 წლის 6 დეკემბრის #04/5401 წერილი.

[32] საქართველოს მთავრობას, „ტრანს ელექტრიკა ლიმიტედს“, შპს „ტრანს ელეტრიკა ჯორჯიას“, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის 2011 წლის 28 აპრილს დადებული ხუდონის ჰესის მშენებლობის, ექსპლუატაციის და მფლობელობის შესახებ ხელშეკრულების 2013 წლის 28 მაისის ცვლილებები.

მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მაგრამ არა რეგულირებული ტარიფით და ამავე ხელშეკრულების 4.4 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

ენერგეტიკის სამინისტროს წერილში ასევე მითითებულია, რომ პროექტი შესაძლებლობას იძლევა დასაქმდეს ადგილობრივი მოსახლეობა, რაც თავისთავად მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს სოციალური ფონის გაუმჯობესებაზე.

მსგავსი სახის ვალდებულება ინვესტორს ხელშეკრულებით არ აქვს ნაკისრი. ამ პირობის შესრულება, მოსახლეობის კვალიფიკაციის გათვალისწინებით და ადგილობრივ მაცხოვრებელთა დასაქმება მხოლოდ პროექტის შემსრულებელი კომპანიის კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული.

ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედება

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, „პროექტის შემსრულებელი კომპანია“ ვალდებულია მოამზადოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და მიიღოს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიამ“ ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საჯარო (წინასწარი) განხილვისათვის წარადგინა 2013 წლის 29 ივლისს[33].

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ მიერ წარდგენილ გარემოზე ზემოქმედების ანგარიშზე მოამზადა 111 შენიშვნა და გაუგზავნა[34] „პროექტის შემსრულებელ კომპანიას“.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენიშვნები გათვალისწინებული უნდა იქნეს „პროექტის შემსრულებელი კომპანიის“ მიერ და მხოლოდ ამის შემდეგ წარედგინება გარემოზე ზემოქმედების ანგარიში ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ ეტაპზე გარემოზე ზემოქმედების ანგარიშზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ მომზადებული შენიშვნები გათვალისწინებული არ არის.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2013 წლის 28 მაისს საქართველოს მთავრობასა და ინვესტორს შორის დადებულ ხელშეკრულებაში შესული ცვლილების თანახმად, პროექტის

[33] საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილის 2013 წლის 18 ოქტომბრის #2508 წერილი;
[34] საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილის 2013 წლის 16 სექტემბრის #1917 წერილი.

შემსრულებელ კომპანიას ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის საჭირო ნებართვები უნდა მიეღო და მშენებლობა დაეწყო არაუგვიანეს 2014 წლის 1 მარტისა.[35]

ცნობილია, რომ დასახელებულ ვადაში პროექტის შემსრულებელმა კომპანიამ ვერ მოახერხა საჭირო ნებართვების აღება.ასეთ პირობებში, ვიდრე არ არის გაცემული მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ნებართვა, შეუძლებელია ვისაუბროთ იმაზე, რომ ხუდონჰესის მშენებლობის პროექტი აუცილებლად განხორციელდება.

სოციალური საკითხები

ხუდონჰესის პროექტის განხორციელება განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა მესტიის რაიონის სოფელ ხაიშში და მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის, რადგან მათი უდიდესი ნაწილი იძულებული იქნება შეიცვალოს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან/და არსებითად შეიცვლება მათ სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა თუ საცხოვრებელი გარემო და პირობები.

ამ მომენტისათვის, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დამტკიცებული არ არის ადგილობრივ მაცხოვრებელთა განსახლების გეგმა[36]. შესაბამისად, ამ ეტაპზე შეუძლებელია მსჯელობა მოსახლეობისათვის რამდენად სამართლიანი კომპენსაციის გაცემა იგეგმება ან გასახლების შემთხვევაში, ცხოვრების როგორი პირობების შექმნაზეა საუბარი. აუცილებელია, რომ განსახლების გეგმაში დეტალურად განისაზღვროს რა პირობებით მოხდება მოსახლეობის განსახლება.

საქართველოს მთავრობასა და ინვესტორს შორის 2011 წლის 28 აპრილს დადებული ხელშეკრულების 4.12 მუხლის „c“ პუნქტის თანახმად, საქართველოს მთავრობა „საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს შეთავაზებას, ხუდონის ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობისათვის საჭირო ყველა მიწის ნაკვეთის და ყველა არსებული აქტივის ვალდებულებების გარეშე, „საპროექტო კომპანიისათვის“ სიმბოლურ თანხად - 1 (ერთ) აშშ დოლარად გადაცემის შესახებ, „კომპანიის“/ „პროექტის შემსრულებელ კომპანიის“ მიერ „ობიექტის“ მშენებლობისა და „პროექტის“ განხორციელების მიზნით („აქტივების გადაცემა“). „კომპანიას“/„პროექტის შემსრულებელ კომპანიას“ უფლება ექნება გადასცეს, გაასხვისოს ან განსაზღვროს „კრედიტორების“ წინაშე გირავნობის საგანი თავის უფლებებსა და პროცენტზე. იმისათვის, რომ „კომპანიამ“/„პროექტის შემსრულებელმა კომპანიამ“ განსაზღვროს გირავნობის საგანი, გასხვისების ან შექმნის უფლება, მას დასჭირდება „მთავრობის“ წინასწარი წერილობითი თანხმობა. ყოველგვარი ეჭვის აღმოსაფხვრელად, „კრედიტორებთან“ მოლაპარაკებების და შესაბამისი ხელშეკრულებების ტექსტის, მათ შორის, სესხის მიწოდების პირობების და სხვა სახის დოკუმენტების მომზადებისათვის, რაც საჭიროა „კომპანიის“ / „საპროექტო კომპანიის“ მიერ ხსენებული უფლების განხორციელებისათვის, არ იქნება საჭირო „მთავრობის“ წინასწარი წერილობითი თანხმობა. „კომერციული

[35] 2011 წლის 28 აპრილის ხელშეკრულება, მუხ. 3.3. პუნ. „a“

[36] საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის 2013 წლის 6 დეკემბრის #04/5401 წერილი;

ექსპლუატაციის“ დაწყების შემდეგ ხსენებული შეზღუდვა მოიხსნება და „კომპანია“/ „საპროექტო კომპანია“ თავისუფლად გადასცემს, გაასხვისებს ან განსაზღვრავს გირავნობის საგანს „კრედიტორების“ სასარგებლოდ.“

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 19 დეკემბრის #19/12/01 განკარულებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მესტიისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ საკუთრებაში გადაეცა პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების გზით, 1 (ერთ) აშშ დოლარის ექვივალენტ ლარად.

საქარველოს პრეზიდენტის #19/12/01 ბრძანებულების საფუძველზე 2012 წლის 11 იანვარს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროსა და შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც „პროექტის განმახორციელებელ კომპანიას“ 1 (ერთ) აშშ დოლარად საკუთრებაში გადაეცა მესტიის სარეგისტრაციო ზონაში საკუთრების უფლება 141 ობიექტზე (საერთო ფართი 11 940 529 კვ.მ)[37].

ინვესტორსა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული ხელშეკრულების 4.15 მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ „მთავრობა“ ან სახელმწიფო დარგობრივი უწყება ექსპროპრიაციის, იძულებითი დაუფლების, ნაციონალიზაციის ან სხვა სავალდებულო მოპოვების გზით მიიღებს საკუთრებაში „ობიექტს“ ან „კომპანიის“/ „პროექტის შემსრულებელი კომპანიის“ კაპიტალი ან აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა იქნეს ანაზღაურებული იმ მომენტისათვის არსებული საბაზრო ღირებულების შესაბამისად.

საკუთრების უფლება საყოველთაოდ აღიარებული, ხელშეუვალი და კონსტიტუციით დაცული უფლებაა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ საკუთრების უფლების შეზღუდვა ან კანონით დადგენილი წესით ჩამორთმევა გამოყენებული იქნეს მხოლოდ, როგორც უკიდურესი აუცილებლობა და ყველა შესაძლო ღონისძიება გატარდეს იმისათვის, რომ მოსახლეობასთან მიღწეული იქნეს შეთანხმება განსახლებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე.

კულტურული მემკვიდრეობა

2013 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან გამოითხოვა[38] ინფორმაცია მესტიის მუნიციპალიტეტში, კერძოდ, ხაიშის თემში, გამოვლენილი და აღრიცხული კულტურული მემკვიდრეობის, მისი მესაკუთრის და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის გამო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე სამუშაოების ნებართვის გაეცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.

[37] სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რეგისტრაციისა და კადასტრის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2013 წლის 3 დეკემბრის #225631 წერილი.
[38] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2013 წლის 28 ოქტომბრის #04-11/1990 წერილი;

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პასუხის[39] თანახმად, ხაიშის თემში, გამოვლენილი და აღრიცხულია როგორც არქეოლოგიური მემკვიდრეობის ობიექტები, ასევე, ისტორიულ არქეოლოგიური ნაგებობები. კერძოდ, დატბორვის ზონაში მდებარე ობიექტებია: სოფ, ხაიშის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია - სოფლის სასაფლაოზე; შუასაუკუნეების სამაროვანი - წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მიმდებარედ, მდინარე ხაიშურას მარჯვენა ნაპირი; ხაიშის ადრეული კლასიკური პერიოდის ნასახლარის ნაშთები - წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ჩრდილოეთ დასავლეთით 200მ. მანძილზე; ხაიშის კლასიკურ პერიოდის ობიექტი; „ხაიშის განძის“ აღმოჩენის ადგილი - მდინარე ხაიშურას მარცხენა ნაპირი; ნაგებობების ნაშთები ადგილ საგერგილთან.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წერილში ასევე, ჩამოთვლილია ობიექტები, რომლებიც არ ექცევა დატბორვის ზონაში. დასახელებული ობიექტებიდან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს მე-9 საუკუნის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია („თარგინზელ“ - სოფელ ლაღლარში, ადგილი დაკარი). აღნიშნული ეკლესიის მესაკუთრეა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ 2013 წლის 9 აგვისტოს მიმართა[40] საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ მიერ მომზადებული გარემოზე ზემოქმედების ანგარიშში მითითებული კულტურული ობიექტების თაობაზე მოსაზრების წარდგენის მიზნით.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წერილის[41] თანახმად, ხუდონის ჰიდროელექტროსადგური, „კულტურული მემკვიდრობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლისა და „მშნებელობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების[42] მე-15 და 79-ე მუხლების თანახმად, მიეკუთვნება V კლასის შენობა-ნაგებობათა რიცხვს, რომლის მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დადებითი დასკვნა, ხოლო დასკვნის საფუძველს - საპროექტო ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევა.

2013 წლის სექტემბერში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ გასცა არქეოლოგიური სამუშაოების სანებრათვო მოწმობა #09/12/1346, მესტიის მუნიციპალიტეტში, დაბა ხაიშში, ხუდონჰესის მშენებლობის ზონაში არქეოლოგიური კვლევის ჩატარების

[39] საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2013 წლის 12 ნოემბრის #02/08-5066 წერილი.

[40] საქართველოს გარემოს დავცისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2013 წლის 9 აგვისტოს #1464 წერილი

[41] საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2013 წლის 5 სექტემბრის #02/08-3671

[42] საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილება;

მიზნით. არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო მოწმობის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2013 წლის 2 დეკემბრამდე[43].

მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ვალდებულების გარდა, „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ 2003 წლის 17 ოქტომბრის კონვენციის[44] თანახმად, სახელმწიფოს აღებული აქვს ვალდებულება დაიცვას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, რაც ნიშნავს ადათ-წესების, წარმოსახვისა და გამოხატვის ფორმებს, ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. ასევე, მათთან დაკავშირებულ საშუალებებს, საგნებს, არტეფაქტებს და კულტურულ სივრცეებს, აღიარებულს გაერთიანებების, ჯგუფებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეული პირების მიერ მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად.[45]

ამავე კონვენციის თანახმად, დაცვა ნიშნავს ზომების მიღებას იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიანობა, მათ შორის, მისი იდენტიფიკაცია, დოკუმენტირება, კვლევა, შენარჩუნება, დაცვა, პოპულარიზაცია, მისი როლის ამაღლება და მისი გადაცემა უმთავრესად ფორმალური და არაფორმალური განათლების მეშვეობით, აგრეთვე ასეთი მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტის აღორძინება.[46]

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც აუცილებად მიმაჩნია ყურადღების გამახვილება არის შემდეგი: ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების წინასწარი ვარიანტის თანახმად,[47] პროექტის განხორციელების შედეგად იტბორება ზუგდიდი-ჯვარი-მესტიის დამაკავშირებელი გზა. კომპანია „ტრანს ელექტრიკა ლიმიტედის“ მიერ მომზადებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების წინასწარ ვარიანტში გათვალისწინებულია გზის რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტი. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ზუგდიდი-ჯვარი-მესტიის დამაკავშირებელი გზის ალტერნატიული ვარიანტის განხორციელების შედეგად, მაქსიმალურად უახლოვდება რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს და შეფასდეს პროექტის განხორციელება ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია:

1. ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი პროცედურა შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო ნორმებთან;

---

[43] ამ ეტაპზე დასრულებულია არქეოლოგიური სამუშაოები.
[44] რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2007 წლის 4 დეკემბრის №5535–IIს დადგენილებით.
[45] „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ კონვენცია, მუხ. 2, პუნ.1.
[46] „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ კონვენცია, მუხ. 2, პუნ.3.
[47] გარემოზე ზემოქმედეგბის შეფასების წინასწარი ვარიანტი, ივლისი, 2013 წელი, ნაწილი I-II, გვ. 202

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობით შეფასდეს ინვესტიციის მიმზიდველობა და გაკეთდეს ეკონომიკური ანალიზი;
3. მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქნეს საზოგადოების ადეკვატური, დროული და ეფექტური ინფორმირება გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველა ეტაპზე.
4. ჰესის მშენებლობისათვის საჭირო ნებართვების გაცემისას უზრუნველყოფილი იქნეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი გადაწყვეტილების მომზადებისა და მიღების წესის დაცვა;
5. მოსახლეობასთან შეთანხმებით შემუშავდეს ადგილობრივ მაცხოვრებელთა განსახლების სამოქმედო გეგმა, განსახლების პოლიტიკა და მონიტორინგის გეგმა;
6. კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მიღებული იქნეს ზომები მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით;
7. შეფასდეს ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით.

გატარებული ღონისძიების თაობაზე, გთხოვთ, მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,